პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 11 აპრილი, 1945 წ. № 72 (7287). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტის დენონსაციის გამო. „იზვესტიის" 7 აპრილის მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 10 აპრილის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინის საუბარი მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსისთან (1-ლი გვერდი).
ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დეკლარაცია (1-ლი გვერდი).
მიღება იუგოსლავიის საელჩოში იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მარშალ ი. ბროზ-ტიტოს პატივსაცემად (1-ლი გვერდი).
მარშალმა ი. ბროზ-ტიტომ ინახულა ქალაქ მოსკოვის სამრეწველო საწარმოები (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სტალმეურნეო სოფელში (მე-2 გვერდი).
გარდამავალი დროშა რიონჰესის თავდაცვის შტაბს (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები. მოკავშირეთა ოპერაციები დასავლეთში. საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში. ამერიკის ჯარებმა აღმოაჩინეს ჰიტლერელების მიერ მოპარული კულტურული ფასეულობანი. ნაცისტების მიერ ბერლინიდან ოქროს ფონდის გატანის ახალი დაწვრილებითი ცნობები (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტის დენონსაციის გამო

1941 წლის 13 აპრილს, ესე იგი, სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე და, ერთი მხრივ, იაპონიასა და, მეორე მხრივ, შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის ომის დაწყებამდე, მოსკოვში ხელმოწერილ იქნა პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის. პაქტის დადება მაშინ მოასწავებდა გარკვეული ეტაპის დამთავრებას საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის განვითარებაში. ოცი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში, დაწყებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან და საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობიდან, ამ ურთიერთობას სრულიად არადამაკმაყოფილებელი ხასიათი ჰქონდა.

იაპონიის ინტერვენცია შორეულ აღმოსავლეთში 1918-1922 წლებში, რომლის დროსაც იაპონიის ჯარები ვლადივოსტოკში გადმოსხდნენ და ოკუპაცია უყვეს პრიმორიეს, იაპონიის მიერ ჩრდილოეთ სახალინის ოკუპაცია, მრავალრიცხოვანი სასაზღვრო კონფლიქტები და, ბოლოს, სამხედრო ამბები ხასანის ტბასთან და მდინარე ხალხინ-გოლზე 1938-1939 წლებში — ასეთია მეტად არასრული ნუსხა ფაქტებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ იაპონიის ხელმძღვანელი წრეები მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მიმართ ეწეოდნენ აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც არაერთგზის გამოუწვევია მწვავე კონფლიქტები ორივე სახელმწიფოს შორის. ცოტა დრო რადი დასჭირდა იმას, რათა იაპონიის ხელმძღვანელი წრეები მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ნორმალური ურთიერთობის დამყარება თავიანთ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან და უარი ეთქვათ სამხედრო პროვოკაციებისა და ავანტიურების პოლიტიკაზე სსრ კავშირის მიმართ.

ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის დადება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის 1941 წლის 13 აპრილს მოწმობდა ასეთი პოლიტიკის ჩაფუშვას იაპონიის ხელმძღვანელთა წრეებისას, რომლებიც, ბოლოსდაბოლოს, იძულებული გახდნენ დასდგომოდნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოწესრიგების გზას. 1941 წლის 13 აპრილის ნეიტრალიტეტის პაქტმა შეასრულა თავისი დადებითი როლი, მოსპო მთელი რიგი საბაბი იაპონიასთან გაუგებრობისა და კონფლიქტებისა, რომლებიც აღსავსე იყო საფრთხით, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც გერმანია სულ უფრო ამჟღავნებდა თავის მისწრაფებას ახალი იმპერიალისტური დაპყრობებისა და ევროპაში აშკარა ბატონობისადმი.

დასავლეთ ევროპაში თავისი იოლი წარმატებებით თავბრუდახვეული გერმანია 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს. გერმანია გადაეშვა სამხედრო ავანტიურაში აღმოსავლეთით და ვარაუდობდა ასეთივე იოლი წარმატებანი მოეპოვებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომშიც, რაკი დარწმუნებული იყო თავის სამხედრო ძლიერებაში, რაც გერმანიის მიერ დაპყრობილი თითქმის მთელი დასავლეთი ევროპის უზარმაზარ რესურსებს ეყრდნობოდა.

გერმანიის დროებითმა წარმატებებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებული ომის პირველ თვეებში, რომლებიც საზიზღარ გერმანელ ფაშისტთა თავდასხმის მოულოდნელობისა და უეცრობის შედეგს წარმოადგენდნენ, როგორც ცნობილია, თავბრუ დაახვიეს ბევრ იაპონელ პოლიტიკოსს, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი იმედი ჰიტლერულ ავანტიურაზე დაემყარებინათ. მაგრამ წინააღმდეგობამ, რაც წითელმა არმიამ თავხედ დამპყრობს გაუწია მოსკოვის კედლებთან და ჩვენი ფრონტის მთელ რიგ სხვა უბნებზე, გამომაფხიზლებლად იმოქმედა ფიცხ ადამიანებზე იაპონიაშიც. მაგრამ იაპონიის ხელმძღვანელ პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში ამ დროს უკვე მომწიფდა აზრი „ოქროს შესაძლებლობით" სარგებლობის საჭიროების შესახებ, როგორც მაშინ აშკარად ამბობდნენ იაპონიის სამხედრო ხროვის ყველაზე უფრო გულხდილი წარმომადგენლები, რათა დაეწყოთ რეალიზაცია თავიანთი ფარული იმპერიალისტური გეგმებისა სამხრეთის ზღვების რაიონში. წყნარ ოკეანეში მოვლენათა შემდეგი მსვლელობა, რომელიც 1941 წლის 7 დეკემბერს დაიწყო იაპონელთა პირლ-ჰარბორზე თავდასხმით და საომარი მოქმედების დაწყებით, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთსა და, მეორე მხრივ, იაპონიას შორის, ცნობილია.

სსრ კავშირისათვის უაღრესად ძნელ დროს იაპონია განაგრძობდა გერმანიასთან თავისი თანამშრომლობის განმტკიცებას, რასაც ჰქონდა არა მარტო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ არსებით დახმარებასაც წარმოადგენდა გერმანიისათვის მის ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ომის მსვლელობაში, რომელიც გერმანიამ თავს მოახვია საბჭოთა კავშირს, მოხდა ძალთა ძირითადი გამიჯვნა, რის შედეგადაც შეიქმნა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის მძლავრი კოალიცია. ამავე დროს იაპონია ეწეოდა და ეწევა ომს სსრ კავშირის მოკავშირეების — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინააღმდეგ.

იმ დროიდან, როდესაც დადებული იყო პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ, ესე იგი, 1941 წლის 13 აპრილიდან, ვითარება, ამრიგად, ძირიანად შეიცვალა. ამ ცვლილების შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვის მიერ იაპონიის ელჩის ნ. სატოსათვის 5 აპრილს გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია: „გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს, ხოლო იაპონია, გერმანიის მოკავშირე, ეხმარება ამ უკანასკნელს მის ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ. გარდა ამისა, იაპონია ეომება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოკავშირეები არიან".

მთელი ამ ომის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც უკვე სავსებით ცხადი გახდა, რომ გერმანიის ავანტიურა განწირულია სრული ჩაფუშვისათვის, იაპონია ყოველნაირი საშუალებით განაგრძობდა თავისი კავშირის განმტკიცებას გერმანიასთან და დახმარებას უწევდა გერმანიის ავაზაკურ იმპერიალიზმს. საბჭოთა მთავრობამ სცნო, რომ — „ასეთ ვითარებაში იაპონიასა და სსრ კავშირს შორის ნეიტრალიტეტის პაქტმა დაჰკარგა აზრი, და ამ პაქტის განგრძობა შეუძლებელი გახდა".

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ 5 აპრილს აცნობა იაპონიის მთავრობას თავისი სურვილი მოახდინოს იაპონიასთან დადებული პაქტის დენონსირება.

ამ განცხადებაში, როგორც ცნობილია, მოხსენიებულია ნეიტრალიტეტის პაქტის მე-3 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნული პაქტი ძალას ინარჩუნებს ხუთი წლის განმავლობაში რატიფიკაციის დღიდან. მე-3 მუხლი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ პაქტის ხელისმომწერი არც ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსირებას ერთი წლით ადრე მისი მოქმედების ვადის გასვლამდე, მაშინ იგი ითვლება ავტომატურად განგრძობილად შემდეგი ხუთი წლისათვის. პაქტის ხელისმომწერმა მხარეებმა სწორედ ამჟამად პაქტის მე-3 მუხლის ძალით, უნდა გადასწყვიტონ საკითხი — განაგრძონ მათ ეს პაქტი შემდეგი ხუთი წლისათვის, თუ განაცხადონ მისი დენონსირების შესახებ. როგორც ცნობილია, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოუცხადოს იაპონიის მთავრობას თავისი სურვილი 1941 წლის 13 აპრილის პაქტის დენონსირების შესახებ.

საბჭოთა მთავრობის 5 აპრილის განცხადება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ნეიტრალიტეტის პაქტის დენონსაციის შესახებ იმის პირდაპირი შედეგია, რომ იაპონია არის მოკავშირე გერმანიისა, რომელიც საზიზღარ ავაზაკურ ომს ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და რომ იგი ამასთან ერთად ომს ეწევა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა კავშირის მოკავშირეები არიან.

„იზვესტიის" 7 აპრილის მოწინავე

ამხანაგ ი. ბ. სტალინის საუბარი მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსისთან

10 აპრილს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგ ი. ბ. სტალინთან მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებზე შესდგა საუბარი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსისთან კრუტიცის მიტროპოლიტ ნიკოლოზისა და პროტოპრესვიტერ ნიკოლოზ კოლჩიცკის თანდასწრებით.

საუბარში მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

მიღება იუგოსლავიის საელჩოში იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მარშალ ი. ბროზ-ტიტოს პატივსაცემად

9 აპრილს იუგოსლავიის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ს. სიმიჩმა გამართა მიღება იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მარშალ ი. ბროზ-ტიტოს პატივსაცემად.

მიღებას დაესწრნენ მარშალი ი. ბროზ-ტიტო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის სახალხო კომისრები: ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ა. ი. შახურინი, ბ. ლ. ვანიკოვი, ვ. ა. მალიშევი, დ. ფ. უსტინოვი, პ. ფ. ლომაკო; სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი, ს. ა. ლოზოვსკი, ს. ი. კავთარაძე, ი. მ. მაისკი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ი. ვ. სადჩიკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, უკრაინის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი დ. ზ. მანუილსკი, ა. ფ. გორკინი, წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. პოპოვი, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, ავიაციის მარშალი ფ. ი. ფალალეევი, საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვოროზბიოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატის, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, მწერლები და არტისტები.

მიღებას დაესწრნენ უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩები და დესპანები, სამხედრო ატაშეები, მოკავშირე და ნეიტრალური ქვეყნების სამხედრო მისიათა უფროსები.

მიღებას აგრეთვე დაესწრნენ მოსკოვში მყოფი თვალსაჩინო იუგოსლაველი მოღვაწეები: საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. შუბაშიჩი, ჩერნოგორიის საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი მ. ჯილასი, ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრი ბ-ნი ნ. პეტროვიჩი, სამთო მრეწველობის მინისტრი ბ-ნი ბ. ანდრეევი, უფროსი იუგოსლავიის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში გენერალ-ლეიტენანტი რ. პრიმორაცი, წევრები იუგოსლავიის საელჩოს და სამხედრო მისიისა სსრ კავშირში.

(საკდესი).

უფროსი ლეიტენანტი ა. ს. ადამიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე სტეფანეს-ძე ადამიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
10 აპრილის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ცნობებით, 9 აპრილს 21 საათისა და 30 წუთის შემდეგ, ე. ი. კენიგსბერგში გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობის შეწყვეტის შემდეგ, 9 აპრილს ღამით და 10 აპრილს დღისით ტყვედ დაგვნებდა დაახლოებით 50.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, გერმანელთა კენიგსბერგის დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის ბრძოლების დროს, ე. ი. 6-დან 10 აპრილამდე, ტყვედ წამოყვანილია სულ 92.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე პერიოდში გერმანელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 42.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ტყვეთა შორის არის 1.819 ოფიცერი და 4 გენერალი — კენიგსბერგის გამაგრებული რაიონის კომენდანტი ინფანტერიის გენერალი ლიაში, ციხის კომენდანტის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი მიკოში, გერმანელთა 61-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი შპერლი, გერმანელთა 367-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი ჰენლე.

ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 2.023 საველე ქვემეხი, 89 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.652 ნაღმსატყორცნი, 4.673 ტყვიამფრქვევი, 119 ჯავშანტრანსპორტიორი, 2 ჯავშნიანი მატარებელი, 6.560 ავტომანქანა, 137 ტრაქტორი და საწევარი, 774 ორთქლმავალი, 8.544 ვაგონი, 146 კატერი და კარჭაპი, 441 საწყობი სამხედრო ქონებიანად.

მოსპობილია: 120 თვითმფრინავი, 1.193 საველე ქვემეხი, 568 ნაღმსატყორცნი, 104 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 82 ჯავშანტრანსპორტიორი, 1.719 ავტომანქანა, 23 ორთქლმავალი, 215 ვაგონი, 77 საწყობი სამხედრო ქონებიანად.

10 აპრილის განმავლობაში ზემლანდის ნახევარკუნძულზე კენიგსბერგის დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები მეტგეტენი, მოდიტენი, კლაინ ფრიდრიხსბერგი, გროს ჰოლშტაინი.

ბრატისლავის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი ტრენჩინი და 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ველკი ბიეროვცე, მიავცი, პანიცი, კადლეჩიცი, მიჩე, ხროპოვი, კოვალოვეცი, პოპუდინი. ბრატისლავის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ფრონტის ჯარებმა, რომლებიც დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე უტევენ, დაიკავეს ქალაქები ვენზერნდორფი და დოიჩ-ვაგრამი და დასახლებული პუნქტები ვაიკენდორფი, შტრასჰოფი, მარკგრაფნოიზიდლი, პარბასდორფი, გროსჰოფენი, გლინცენდორფი, რუტცენდორფი, ფრანცენსდორფი, ვიტაუ, ობერჰაუზენი, მიულლაიტენი.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებს განაგრძობენ ვენის ქუჩებში, მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქის ყველა რაიონი, რომლებიც დუნაის არხის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობენ. 9 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 72 ტანკი, 85 ჯავშანტრანსპორტიორი, 75 საველე ქვემეხი, 174 ტყვიამფრქვევი.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

9 აპრილს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 54 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 28 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაარტყა პილაუს და კილის ნავსადგურებს

9 აპრილს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს პილაუს და კილის ნავსადგურებს. ამ დარტყმათა შედეგად აღნიშნული ნავსადგურების ტერიტორიებზე გაჩნდა დიდი ხანძრები, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

* * *

ბრატისლავის ჩრდილო-აღმოსავლეთით საბჭოთა ნაწილები ბრძოლებით მიადგნენ მდინარე ვაგს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ტრენჩინის ჩრდილოეთით. ჩვენი სხვა ნაწილები მდინარისაკენ გაიჭრნენ ქალაქის სამხრეთით. გერმანელთა გარნიზონი, რომელიც ტრენჩინს იცავდა, მდინარესთან მიმწყვდეული აღმოჩნდა. ჩვენი ჯარები ორი მხრიდან შეიჭრნენ ქალაქში და შუადღისათვის გასწმინდეს იგი მოწინააღმდეგისაგან. განადგურებულ მტრის გარნიზონის ნაშთები მდინარე ვაგს გაღმა გაიქცნენ. ხელთ ვიგდეთ იარაღსარემონტო სახელოსნოები, 20 მიწისქვეშა საწყობი სამხედრო მასალიანად და სხვა დავლა. ქალაქ ტრენჩინში არის ავტოსატრაქტორო და იარაღის ქარხნები, ფეთქებად ნივთიერებათა ქარხანა და სხვა საწარმოები.

მდინარეებს ვაგსა და მორავას შუა მდებარე რაიონში საბჭოთა ქვეითები იგერიებენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და შეუპოვრად მიიწევენ წინ. გააფთრებული ბრძოლის შედეგად დაკავებულია დასაყრდენი პუნქტი პოპუდინი, რომელიც 9 კილომეტრზე იმყოფება ქალაქ გოდონინიდან. ამ პუნქტისათვის ბრძოლაში გაჟლეტილია 400-მდე ჰიტლერელი და დამწვარია გერმანელთა 7 ტანკი. ბრატისლავის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და წინ წაიწიეს 20 კილომეტრით. დაკავებულია ქალაქი და რკინიგზის სადგური დოიჩ-ვაგრამი, რომელიც 13 კილომეტრზე მდებარეობს ვენის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ორი დღის ბრძოლებში საბჭოთა ნაწილებმა ამ რაიონში გერმანელებს წაართვეს 108 ქვემეხი, 42 ნაღმსატყორცნი, 59 ტყვიამფრქვევი, 7 ორთქლმავალი და 300 რკინიგზის ვაგონი სამხედრო ქონებიანად.

* * *

„ქვაბში" მოხვდნენ, დღეს დილით ლიკვიდირებულ იქნენ. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა. ქალაქის ქუჩებში დარჩა მტრის 3.000-ზე მეტი გვამი.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ვენის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საბჭოთა მეომრები უსაზღვრო მამაცობასა და გმირობას იჩენენ. გვარდიის უფროსი სერჟანტ მედვედევის ათეულმა წინსვლის დროს გაჟლიტა ჰიტლერელთა დიდი ჯგუფი. მეტყვიამფრქვევე ანდრიუშენკომ, რომელიც იფარავდა თავისი ქვეგანაყოფის შეტევას, 20 გერმანელი დახოცა. კაპიტან კუზმინოვის ბატარეის არტილერისტებმა დასწვეს მოწინააღმდეგის 2 ტანკი. გვარდიელი წითელარმიელები კრემახოვი და ნემცოვი ცურვით გავიდნენ წყლის ზღუდეში, ბრძოლა გაუმართეს გერმანელებს და უზრუნველყვეს თავიანთი ქვეგანაყოფის გადასვლა. ამ დღეს ამხანაგებმა კრემახოვმა და ნემცოვმა 37 ჰიტლერელი დახოცეს. ორი სნაიპერის გვარდიის წითელარმიელებს მაკარენკოსა და ხიდენკოს თავს დაესხა გერმანელთა ჯგუფი. გააფთრებულ შეტაკებაში მამაცმა მებრძოლებმა 6 ჰიტლერელი მოკლეს, ერთი გერმანელი ჯარისკაცი კი ტყვედ წამოიყვანეს. გვარდიის უფროსი სერჟანტი ჩერემისოვი მოხერხებულად შეიპარა და მიცოცდა იმ სახლთან, რომელშიც გერმანელი მეტყვიამფრქვევეები გამაგრდნენ. უფროსმა სერჟანტმა ფანჯარაში გრანატი შეაგდო და დახოცა მტრის მეტყვიამფრქვევეები. იმავე დღეს ამხ. ჩერემისოვმა ტანკსაწინააღმდეგო გრანატით ააფეთქა გერმანელთა თვითმავალი ქვემეხი.

* * *

1-ლი სატანკო დივიზია სს „ადოლფ ჰიტლერის" მე-2 მოტოპოლკის მე-6 როტის ...

იმათი სასოწარკვეთილებით ცდილობდნენ ქალაქის ქუჩებში შეექმნათ მტკიცე და მყარი თავდაცვა. საბჭოთა ჯარების გადამწყვეტი მოქმედებით ჰიტლერელთა გეგმები ჩაფუშულ იქნა. მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ქალაქის ყველა რაიონი, რომლებიც დუნაის არხის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობენ. ჩვენი ჯარები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთიდან უტევენ დუნაის არხის გასწვრივ, ბრძოლებით მიადგნენ ქალაქის ცენტრს და შეუერთდნენ იმ ჯარებს, რომლებიც სამხრეთიდან და დასავლეთიდან უტევენ. დაკავებულია ფრანც იოსების ვაგზალი, გარნიზონის ჰოსპიტალი, საკავალერიო ყაზარმები, მეცნიერებათა აკადემიის და სხვა შენობები. ჩვენმა გვარდიულმა შენაერთებმა წარმატებითი შემოვლითი მანევრი მოახდინეს და გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის ჯგუფს გარეუბნებ ალტმანსდორფსა, აცგერსდორფსა, ალტერლაასა და ნოიერლაასში. გერმანელთა სს-ელების ორი სატანკო დივიზიის ქვეგანაყოფები, სათადარიგო პოლკი და 6 ცალკე ბატალიონი, რომლებიც ხეთ მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკავება. იანვარში რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ. გერმანიის სარდლობამ დაიწყო ჯარების გადაყვანა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ჩვენი დივიზია გაგზავნეს უნგრეთში, ქალაქ დიერს, სადაც ჩვენ თებერვლის ბოლოს მივედით. ბევრი ჯარისკაცი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, რომ მათ უხდებათ ბრძოლა უნგრეთში. ისინი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ინგლის-ამერიკის ჯარები საფრთხეს უქმნიან რურის ოლქს, ჩვენ კი აქ ვზივართ ნაცვლად იმისა, რომ დავიცვათ გერმანიის ტერიტორია". დივიზიის მეთაურის ბრიგადის ფიურერ კუმის ბრძანებით ოფიცრებს ყოველდღე უნდა განემარტათ ჯარისკაცებისათვის, თუ რატომ არის ჩვენთვის საჭირო უნგრეთის დაცვა და რუსების გარეკვა დუნაის გაღმა. მაგრამ შეტევა, რომელიც უდიდესი ზარალის ფასად დაგვიჯდა, მალე ჩაიხშო. შემდეგ რუსთა ჯარები თვითონ გადმოვიდნენ შეტევაზე და გაანადგურეს ჩვენი საუკეთესო დივიზიები".

მარშალმა ი. ბროზ-ტიტომ ინახულა ქალაქ მოსკოვის სამრეწველო საწარმოები

იუგოსლავიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მარშალმა ი. ბროზ-ტიტომ და მისმა თანმხლებმა პირებმა 9 აპრილს ინახულეს ერთ-ერთი თავდაცვითი ქარხანა, რომელიც 18 თვის განმავლობაში ინარჩუნებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

მარშალი ბროზ-ტიტო დაწვრილებით გაეცნო საწარმოს მუშაობას და განსაკუთრებული ყურადღებით დაათვალიერა კონვეიერის ხაზები. დიდი მოწონებით აღნიშნა მან ქარხნის ახალგაზრდა მუშების შრომა, რომლებიც მოკლე ვადაში დაეუფლნენ რთულ საწარმოო სპეციალობებს.

მუშები ყველა საამქროში გულთბილად ხვდებოდნენ მარშალ ბროზ-ტიტოს.

10 აპრილს მარშალმა ბროზ-ტიტომ, იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ი. შუბაშიჩმა და მათმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს სტალინის სახელობის ავტოქარხანა.

ავტოქარხნის დირექტორმა ი. ა. ლიხაჩევმა სტუმრებს გააცნო წარმოების ძირითადი საამქროები. მარშალ ბროზ-ტიტოს ავტომობილთა სააწყობლო საამქროში შესაძლებლობა ჰქონდა მთავარ კონვეიერზე ოვალური ედევნებინა მანქანის შექმნის პროცესისათვის. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დეკლარაცია

კოშიცე, 8 აპრილი. (საკდესი). 5 აპრილს პრემიერ-მინისტრმა ზდენეკ ფირლინგერმა კოშიცეში სლოვაკიის ნაციონალური საბჭოს სხდომაზე გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიის ახალი მთავრობის დეკლარაცია.

„მთავრობა, როგორც ეს მისი პროგრამიდან გამომდინარეობს,—ნათქვამია დეკლარაციაში,— უნდა იყოს ჩეხებისა და სლოვაკების ფართო სახალხო ფრონტის მთავრობა, შედგენილი ყველა იმ სოციალური ფენებისა და პოლიტიკური მიმართულებების წარმომადგენელთაგან, რომლებიც სამშობლოში და საზღვარგარეთ ეწეოდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლას გერმანელთა და უნგრელთა ტირანიის დასამხობად".

„დღეს,—ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში,—როცა საზეიმო სხდომა კვლავ წმიდად სთვლის და განამტკიცებს ჩვენს ურღვევ ძმურ კავშირს, გმირი წითელი არმია მიერეკება ნაცისტთა ურდოების უკანასკნელ ნაშთებს სლოვაკიის მიწა-წყლის ფარგლებიდან და უკვე მორავიის საზღვრებზე დგას. ბრატისლავაში უკვე ფრიალებს თავისუფალი ჩეხოსლოვაკიის დროშა. თავისუფლების მზე ამოდის ჩეხეთის დამონებულ მხარეშიც. დიდება გმირ წითელ არმიას, რომელმაც განვლო ძლევამოსილი გზა ვოლგიდან ოდერამდე და დღეს ბერლინის კარიბჭესთან დგას, იმ ბედნიერი წუთებისათვის, რომლებიც მან მოგვანიჭა. ჩვენ დიდი მადლობით ვფიქრობთ მთელ საბჭოთა ხალხზე, რომელიც უმაგალითო თავდადებით იღებდა და უაღრესად მძიმე მსხვერპლს ეხოდენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გავიხსენოთ დიდი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწენი და უწინარეს ყოვლისა მარშალი სტალინი, რომლებიც არაჩვეულებრივ გულისხმიერებით ... ველმყოს ყველა სლავური სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ამიტომ მთავრობა თავის უდიდესმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ახალ დემოკრატიულ პოლონეთთან თავისი მეგობრობის განმტკიცებასა და გაღრმავებას ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის 1943 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, რათა რაც შეიძლება მალე განახორციელოს ხელშეკრულებაში მოხსენებული სამთა პაქტი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირ-პოლონეთის პაქტი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ურთიერთობა პოლონეთის ახალ სახელმწიფოსთან თავიდანვე დაყენებული იქნება ახალ საფუძველზე, სლავთა ძმობის საფუძველზე, რომელსაც არაფერი არ დაემუქრება.

სავსებით ბუნებრივია, რომ მთავრობა რაც შეიძლება მალე მოაგვარებს ახალ იუგოსლავიასთან თავის ურთიერთობას იუგოსლაველ ხალხთან ჩვენი ტრადიციული მეგობრობის სულისკვეთებით, ხალხთან, რომელმაც ჩვენთვის უაღრესად მძიმე დროს ჩეხოსლოვაკიის მიმართ გამოიჩინა ესოდენ ღრმა სიმპატია და ამ ომში ასეთი დიდი მამაცობა გვიჩვენა.

ჩვენ მჭიდრო ძმურ კავშირს დავამყარებთ აღორძინებულ ბულგარეთთან, რომელმაც მოიშორა კობურგების ხელისუფლება. ეს კავშირი შეესაბამება სლავთა თანამეგობრობის სულისკვეთებას.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ეს სლავური მიმართულება ხელს არ შეგვიშლის იმაში, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ტრადიციული კარგი ურთიერთობა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან, ე. ი. ანგლოსაქსურ დემოკრატიასთან და აღორძინებულ დემოკრატიულ საფრანგეთთან. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ ...

... იმათთან დაკავშირებით, რომ ჩვენ საბჭოთა უკრაინის მოსაზღვრე ვართ, ჩვენ ვიზრუნებთ დიდ რუსს უკრაინელ ხალხთან უაღრესად მჭიდრო, ძმური ურთიერთობის შესახებ. არაფერი არ უშლის ხელს ჩვენს მუდმივ თანამშრომლობას. კარპატის უკრაინის საკითხს ჩვენ გადავწყვეტთ კარპატის უკრაინის უკრაინელი მოსახლეობის ნება-სურვილის შესაბამისად, რაც გამოხატული იქნება დემოკრატიული გზით, და ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის სრული მეგობრობით.

ჩვენი საერთო მტრის, იმპერიალისტური გერმანიის წინააღმდეგ ახლანდელი ბრძოლიდან ყველა სლავი ხალხი აღორძინებული, ხოლო მათი დემოკრატიული ფენები განმტკიცებულნი გამოდიან. სლავი ხალხები ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდნენ მავნე, გარეშე გავლენისა და ჩარევისაგან, რაც მათს თავისუფლებას ემუქრებოდა. სლავ ხალხებს შეგნებული აქვთ, რომ მათი ბრძოლა ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის აქტიური და ნამდვილი დახმარების გარეშე ამაო იქნებოდა, ამიტომ ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ უკლებლივ ყველა სლავი ხალხი დღეს იკრიბება თავისი დიდი მოკავშირის—საბჭოთა კავშირის გვერდით, რომლის გულწრფელი და თანმიმდევრული პოლიტიკა ისახავს დიად მიზანს—სამუდამოდ უზრუნველყოს ... შლიახტას, აგრეთვე ხალხის მოღალატეებს და გადასცეს იგი ჩეხი და სლოვაკი გლეხობისა და უმიწაწყლო პირთა ხელში".

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ეკონომიური განახლების მძიმე ამოცანათა წარმატებით შესრულება ითვალისწინებს, რათა ფულისა და კრედიტის მთელი სისტემა, მრეწველობის ძირითადი დარგების საწარმოები, ბუნებრივი და ენერგეტიკული წყაროები დამორჩილებული იყოს საყოველთაო სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისადმი და ემსახურებოდეს სახალხო ეკონომიკას, ხელს უწყობდეს წარმოებისა და ვაჭრობის გამოცოცხლებას. მთავრობა იზრუნებს აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოს ჩეხოსლოვაკიისადმი ყოველნაირი დახმარება გარედან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მხრიდან.

„ჩვენს მთავრობას,—ნათქვამია დასასრულ,— სურს იყოს ხალხის ნებასურვილის აღმსრულებელი, ლაპარაკობდეს მისი სახელით, იყოს მის ინტერესთა დამცველი, დაე მეგობრულ, საერთო, ძმურ მუშაობაში განმტკიცდეს და აყვავდეს ჩეხი და სლოვაკი ხალხების ძმური კავშირი, დაე საერთო ბრძოლის ცეცხლიდან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა გამოვიდეს შინაგანად გაერთიანებული და სამუდამოდ გამოწრთობილი".

სერბიის მთავრობის შედგენა

ბელგრადი, 9 აპრილი. (საკდესი). დღეს შესდგა სერბიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური სკუპშინის (ასნოსის) პირველი სესიის დასკვნითი სხდომა. სესიამ მიიღო კანონი სერბიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური სკუპშინისათვის სერბიის სახალხო სკუპშინის დარქმევის შესახებ, კანონი სერბიის ადგილობრივი სახალხო მთავრობის შესახებ და მიიღო სკუპშინის დეპუტატთა ფიცის ტექსტი.

დილის სხდომაზე დეპუტატებმა ფიცი დასდეს.

სესიის სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა სახალხო სკუპშინის პრეზიდიუმის ბრძანებულება პრემიერ-მინისტრ დოქტორ ბლაგოე ნეშკოვიჩის მეთაურობით მთავრობის დამტკიცების შესახებ.

გორის რაიონის სოფელ კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეათე ბრიგადის აგიტატორი ამხ. ხ. მაზმიშვილი ესაუბრება კოლმეურნეებს.

პარტიული ცხოვრება

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საკოლმეურნეო სოფელში

გორის რაიონმა გასულ სამეურნეო წელს მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა. წარმატებით შესრულდა პურის, შაქრის ჭარხლისა და სხვა პროდუქტების დამზადებათა გეგმები. შესრულდა აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა.
ამ გამარჯვებათა შედეგად რაიონს საპატიო ჯილდო — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

გორელი კოლმეურნეები წელსაც ენერგიულად მუშაობენ. სოციალისტურ მინდვრებში ფართოდ არის გაშლილი საპირველმაისო შეჯიბრება. მთელი რიგი კოლმეურნეობები შარშანდელზე უფრო სწრაფად და ხარისხიანად ამუშავებენ საყანე ნაკვეთებს, ზუსტად იცავენ აგროღონისძიებებს.

ამ წარმატებების მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანეს რაიონის აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეთა ფართო მასებში, რაზმავენ მათ შრომითი საგმირო საქმეებისათვის.
საგაზაფხულო თესვისათვის მზადების დღეებში მოწინავე აგიტატორების, აგიტკოლექტივებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ამ მუშაობაზე მოგვითხრობენ ქვემოთ მოთავსებული წერილები.

აგიტკოლექტივი სააგიტაციო ხელოვნების სკოლაა

საკოლმეურნეო საკითხების ცოდნა დიდად შეხმარება, რომ სემინარებზე პრაქტიკულად ვუჩვენოთ აგიტატორებს, თუ როგორ უნდა დაუკავშირონ პოლიტიკური საუბრები კოლმეურნეობის ამოცანებს. ამასთან მათ განვუმარტავთ იმ საკითხებს, რომლებიც აგიტსაუბრის დროს შეიძლება წამოიჭრას. ამას კარგი შედეგი მოაქვს: აგიტკოლექტივში აგიტატორები ხედავენ ნამდვილ სკოლას, რომელიც ასწავლის მათ არა მარტო იმას, — რაზე ილაპარაკონ, არამედ იმასაც, — როგორ ილაპარაკონ, ასწავლის საგიტაციო მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

თებერვალში ერთ-ერთი მეცადინეობა მიეძღვნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1945 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ. ამ მეცადინეობაზე აგიტატორებს ვულაპარაკე, თუ რა უნდა გაკეთდეს მოსავლის გადიდებისათვის. ყურადღება გავამახვილე საგაზაფხულო ხვნისა და თესვის აგროღონისძიებებზე, მოვიყვანე უბნის აგრონომისაგან წინასწარ მიღებული მაგალითები. აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე გამოირკვა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში აჭიანურებდნენ სათესლე მასალის ლაბორატორიულ შემოწმებას, ცდილობენ დაარღვიონ დაწესებული თესლბრუნვა. სემინარის მეორე დღესვე აგიტატორებმა ბრიგადებში ჩაატარეს საუბარი ამ საკითხზე, გამოუშვეს საველე გაზეთები, მკაცრად გააკრიტიკეს თესვისათვის მზადების გამჭიანურებელნი. ახლა სოფელ ოხერასა და ხიდისთავის კოლმეურნეობათა აგიტატორებს შეუძლიათ იამაყონ, რომ მათი კოლმეურნეობები რაიონში პირველნი გამოვიდნენ საგაზაფხულო სამუშაოებზე.

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ვალდებულია ესწრებოდეს აგიტატორთა საუბრებს, აღნიშნავდეს მოწინავეებს და ნერგავდეს მათს გამოცდილებას. წელს აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოვისმინეთ სამი მოწინავე აგიტატორის — ი. მინდიაშვილის, მ. ბატატაშვილისა და ე. ტლაშაძის მოხსენებები.

რა ხერხებს იყენებდნენ ისინი მუშაობაში?

ამხ. მინდიაშვილი ზამთრის დღეებში, როცა საველე სამუშაოები არ იყო, მეხუთე ბრიგადის წევრებს თავს უყრიდა კოლმეურნე მაჭრინაძის ბინაში და აწყობდა საუბრებს. საუბრის დროს იგი იყენებდა რუკას. ამან კარგი შედეგი გამოიღო.

აგიტატორი მ. ბატატაშვილი მიმაგრებულია მევენახეობის ბრიგადაზე. მან კარგად იცის ბრიგადის საწარმოო გეგმა, რა ჯიშის ვაზი ხარობს კოლმეურნეობაში, როგორ უნდა დაამუშაოთ ვენახი, რომ უხვი მოსავალი მივიღოთ. ამიტომ მისი საუბარი ყოველთვის საფუძვლიანი და დამაჯერებელია. მას გულდასმით უსმენენ და უჯერებენ კოლმეურნეები.

აგიტატორი ამხ. ე. ტლაშაძე გულისხმიერი ადამიანია. წამოწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიჰყავს. ამას წინათ ინახულა ფრონტელთა ცოლების — ლიზა მუკაძის, ნადია აბრამიძის, ნადია ლომჯარიაშვილის, ფეფო დელიშვილის და ნინო მინდიაშვილის ოჯახები, ესაუბრა დიასახლისებს, გამოარკვია, თუ რა დახმარებას საჭიროებდნენ ისინი. აგიტატორმა თავისი მოსაზრებანი გაუზიარა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, დასვა საკითხი ფრონტელთა ოჯახებისათვის ერთდროული დახმარების გაწევის შესახებ. შედეგად ფრონტელთა ოჯახებისათვის კოლმეურნეთა შორის აგიტატორების მეშვეობით შეგროვებულ იქნა 1 ტონა კომბოსტო, 100 კილოგრამი ლობიო, 800 კილოგრამი სიმინდი, 100 კილოგრამი ხახვი, 7 ურემი შეშა და რამდენიმე ფრთა ქათამი.

აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე ამ მოწინავე აგიტატორების გამოცდილების განზოგადებამ კარგი შედეგი მოგვცა — მალე მათ დანარჩენმა აგიტატორებმაც მიბაძეს.

ამჟამად ვემზადებით და ახლო ხანში აგიტკოლექტივის მეცადინეობაზე მოსმენილ იქნება აგიტატორების მ. კომაროვის, თ. არჩვაძის, ლ. კილიაშვილის და ს. ლომჯარიაშვილის ანალოგიური მოხსენებები.

აგიტკოლექტივი საგიტაციო ხელოვნების სკოლაა. აგიტატორები იქ უნდა სწავლობდნენ აგიტაციის ფორმებსა და მეთოდებს, ეცნობოდნენ მოწინავეთა გამოცდილებას. მე, როგორც აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, ვზრუნავ აგიტატორთა თეორიული დონისა და ოსტატობის ამაღლებისათვის, რომ მათი მუშაობა საკოლმეურნეო სოფელში უფრო მიმზიდველი, უფრო სასარგებლო იყოს.

მ. მუკნიაშვილი
გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი.

სატრაქტორო ბრიგადების აგიტატორები

გორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პარტიული ორგანიზაცია საგაზაფხულო თესვისათვის მზადების დღეებში სერიოზულ ყურადღებას უთმობდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას და აგიტატორებისადმი კონკრეტულ ხელმძღვანელობას.

ხვნა-თესვის ბედს ტრაქტორისტები სწყვეტენ. ამიტომ თავიდანვე ვიზრუნეთ კადრების შერჩევა-მომზადებისათვის. კოლმეურნეობებში ჩავატარეთ ახსნა-განმარტებითი საუბრები სატრაქტორო ბრიგადების დაკომპლექტების მნიშვნელობისა და შრომის ანაზღაურების შესახებ. ამ მხრივ კარგად იმუშავეს აგიტატორმა-ტრაქტორისტებმა ზ. გოჩიაშვილმა, ი. გასიტაშვილმა და დ. თედლიაშვილმა. ტრაქტორისტთა კურსებზე გადასამზადებლად შერჩეულ იქნა 12 კოლმეურნე. მეცადინეობის დროს გაშლილი იყო პარტიულ-მასობრივი მუშაობა.

კურსებზე საგიტაციო მუშაობის კარგად დაყენებამ ხელი შეუწყო პროგრამით გათვალისწინებული მასალის ღრმა შეთვისებას და დისციპლინიანი ტრაქტორისტების გამოზრდას. კურსდამთავრებული ახალგაზრდა ტრაქტორისტები ვ. გასიტაშვილი, შ. ჭუჭყიანი, გ. პაპალაშვილი, ზ. ბერიშვილი ახლა ხვნაზე დღიურ ნორმებს 130-150 პროცენტით ასრულებენ.

გაზაფხულისათვის მზადების დღეებში მტს-ის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი იყო სათადარიგო ნაწილების რესტავრაცია და დამზადება. ამ დარგში სასარგებლო ინიციატივა გამოიჩინა აგიტატორმა მექანიკოსმა გ. კოვალენკომ. მან წინადადება შემოიტანა ადგილობრივად მოეწყო კბილანების დამზადება. ამისათვის სახარატო დაზგაზე გაკეთდა სპეციალური მოწყობილობა. სეზონში დამზადებულ იქნა კბილანის საჭირო მარაგი. ეს ინიციატივა მტს-ის სახელოსნოს მუშაკთა შემოქმედებითი მუშაობის დიდი სტიმული გახდა. სახელოსნომ საკუთარი საშუალებებით 50-მდე სხვადასხვა დეტალი დაამზადა. ადგილობრივად რესტავრირებულ და დამზადებულ იქნა 34.643 მანეთის ნაწილები, რაც თითქმის ერთნახევარჯერ აღემატება გეგმას.

სატრაქტორო ბრიგადები საგაზაფხულო ხვნაზე 15 თებერვალს გავიდნენ. დღემდე ადგილი არ ჰქონია ტრაქტორის გაფუჭებას ან ბრიგადის მიზეზით მოცდენას. 5 დღეში 18 ტრაქტორმა 200-მდე ჰექტარი მიწა მოხნა. 4-საათიანი შესვენებისას ტრაქტორისტები გულდასმით ამოწმებენ ნაწილებს, სწმენდენ და ამზადებენ სამუშაოდ. აგიტატორი ამხ. ა. ჩალაური, რომელიც ბრიგადაში ამორიცხველად მუშაობს, ცაუშრის დროს აცნობს მსმენელებს, თუ როგორ მუშაობს მათთან შეჯიბრებაში ჩაბმული მე-3 ბრიგადა და რაზმავს ტრაქტორისტებს ხვნის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

მე-3 სატრაქტორო ბრიგადის აგიტატორი ამხ. ნ. აბრამიძე ტრაქტორისტებს სისტემატურად აცნობს უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, და შესვენების საათებში მოუთხრობს ახალ ამბებს. იგი ამოწმებს და აღრიცხავს ტრაქტორისტების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ეს მუშაობის დიდი სტიმული გახდა. ბრიგადა სამი ტრაქტორით, 6 ჰექტარის ნაცვლად, ყოველდღე 8-9 ჰექტარს ხნავს და საწვავის ეკონომიაც აქვს.

პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ აგიტატორ ვ. გასიტაშვილის ინიციატივით იკისრა საგაზაფხულო ხვნის დღეებში მოემზადებინა ორი ტრაქტორისტი და კიდეც ასრულებს ამ ვალდებულებას.

ასევე ნაყოფიერად მუშაობენ აგიტატორები ამხ. ზ. გოჩიაშვილი, ნ. კურდღოვა, ე. ხუციშვილი და სხვები.

მტს-ის პარტიული ორგანიზაცია პერიოდულად ამოწმებს და ისმენს აგიტატორების მოხსენებებს. წელს პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა აგიტატორების ამხ. ე. ხუციშვილისა და ნ. კურდღოვას მუშაობის საკითხი. მათ მიეცათ მითითება უფრო მრავალფეროვანი გახადონ საუბრები. ამის შემდეგ სისტემატურად ვამოწმებდი და ვეხმარებოდი ამ აგიტატორებს საუბრის თემის შერჩევა-დამუშავებაში, კითხვა-პასუხის საათების მოწყობაში. ახლა ისინი სანიმუშოდ მუშაობენ.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დარგში გორის მტს-ის პარტიულ ორგანიზაციას აქვს ნაკლოვანებებიც. დღემდე არაა მოწყობილი მოძრავი ბიბლიოთეკა. აგიტკოლექტივში იშვიათად ეწყობა მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარება. არ გამოდის საველე გაზეთები. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრით, პარტიულ-მასობრივი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით უზრუნველვყოფთ 1945 წლის საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებას.

გ. გიგაური
გორის მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი

საღამოები ქახვრელში

მშვიდი და წყნარია საღამო ქართლში. დაბინდებისას ყანებსა და ბაღ-ვენახებში მიწყდება შრომა. მეორე ცხოვრება იწყება სოფელში. იმართება კულტურული და მხიარული დასვენების საღამო, რომ სახალისო მუშაობისათვის სხეულს ჯანი შემატოს და გულს—აღფრთოვანება.

ლამაზი ქვიტკირის შენობა ეუცხოვება ქახვრელელებს სოფლის კლუბ-სამკითხველოსათვის. მტკვრის პირას აგებულ ამ შენობაში ყოველ საღამოს მრავალი კოლმეურნე იკრიბება. ისინი დინჯად უსმენენ აგიტატორს, რომელიც მათ ახალ გაზეთს უკითხავს.

— ნინო, დეიდაშვილობისა, რას ჰქვია მილიტარიზმი, ახლა გაზეთში რომ წაგვიკითხე? — კითხულობს ხანშიშესული მანდილოსანი.

კოლმეურნე გარკვეულ პასუხს იღებს. აგიტატორი გასაგებად განმარტავს, რომ მილიტარიზმი არის შეიარაღებისა და ომისათვის მზადების პოლიტიკა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომ იგი იწვევს სამხედრო ხროვის გაბატონებას სახელმწიფოში და მთელი მეურნეობის მტაცებლური ომის მიზნებისათვის დაქვემდებარებას. ამ საკითხს მოჰყვება ვრცელი საუბარი გერმანიის მილიტარიზმზე, რომელმაც აუწერელი უბედურება და სისხლის ღვრა მოუტანა კაცობრიობას.

კოლმეურნე ეთერ შერმაზაშვილს აინტერესებს, სად გადის ახლა ფრონტის ხაზი, სად მდებარეობენ ქალაქები კოსტრინი, გდინია და ცოპოტი, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს. მოსწავლე ჯანეზაშვილი, რომელიც ისტორიის დიდი მოყვარულია, მოითხოვს აუხსნან, ვინ არიან გლადიატორები და პლებეები.

მეგობრულ საუბარში, გულისხმიერ ახსნა-განმარტებაში გადის საათები. კლუბ-სამკითხველოს ახალგაზრდა გამგის ნინო მღებრიშვილის მუშაობით ყველა კმაყოფილი და მადლიერი რჩება. საქმის სიყვარულით, საუბრებისათვის გულმოდგინე მომზადებით დაიმსახურა მან კოლმეურნეთა ეს პატივისცემა.

ნინო მარტო როდი მუშაობს. მან შემოიკრიბა სოფლის ინტელიგენციისა და მოწინავე კოლმეურნეთა აქტივი. მათი დახმარებით ატარებენ საკლუბო საბჭოს წამოწყებებს. რჩევა-დარიგებისათვის ხშირად მიმართავს თბილისის რკინიგზის სახელოსნოების ძველ მუშას, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. გ. სადაღაშვილს, რომელიც ხალისით ეხმარება საგანმანათლებლო საქმის ენტუზიასტს.

თვის დამდეგს აქ ყოველთვის იკრიბება საკლუბო საბჭო სამუშაო გეგმის გამოსამუშავებლად. საბჭოს წევრები კრიტიკულად აფასებენ იმას, რაც გაკეთებულია, სინათლეზე გამოაქვთ ნაკლოვანებანი, რომ ისინი აღარ განმეორდნენ.

ნინო მღებრიშვილი ან კლუბ-სამკითხველოს რომელიმე აქტივისტი ყოველ დილით უკავშირდება გორს, რომ ჩაიწეროს საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები. სასადილო შესვენებისას აგიტატორები უკვე მოუთხრობენ კოლმეურნეებს ახალ ამბებს ჩვენი ჯარების ძლევამოსილ შეტევაზე, მოკავშირე სახელმწიფოთა ღონისძიებებზე.

კლუბ-სამკითხველოში ხუთი წრეა ჩამოყალიბებული — აგრონომიული, ლიტერატურული, პოლიტიკური, ბიოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული, რომლებშიც 86 კოლმეურნე და მოსწავლე ეწაფება ცოდნას. წრეები სისტემატურად მეცადინეობენ, აწყობენ ექსკურსიებს ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

ამჟამად კლუბ-სამკითხველოს მთელი საქმიანობა მიმართულია კოლმეურნეობებში საპირველმაისო შეჯიბრების ფართოდ გაშლისაკენ. აგიტატორებისა და აქტივისტების დახმარებით ბრიგადებში იხილავენ ამ საკითხს და ახალ საბრძოლო ვალდებულებებს კისრულობენ. სამუშაოების ყოველი ციკლის დაწყების წინ კლუბში საღამოობით იმართება აგროტექნიკოს ნ. ბუღლარაშვილის მოხსენებები.

კარგად დამუშავებული ლექციები, მოხსენებები და საუბრები იზიდავენ კოლმეურნეებს. ამ დარგში ნაყოფიერი მუშაობით პატივისცემა დაიმსახურეს კლუბ-სამკითხველოს აქტივისტებმა გ. სადაღაშვილმა, ო. პაპალაშვილმა, ნ. აპარესოვამ და ე. დათუნაშვილმა.

* * *

მზე ჩადის და საღამო მობრძანდება, ახალი, სახალისო ამბებით მოხიბლული, — ჩუმი და საამური ქახვრელის საღამო.

ა. სოხაძე
გორი, სოფელი ქახვრელი

მოკავშირეთა ოპერაციები დასავლეთში

(საკდესის სამხედრო კორესპონდენტისაგან)

ჩრდილო-დასავლეთი გერმანია, 8 აპრილი. ოსნაბრიუკი გაწმენდილ იქნა 4 აპრილს. 5 აპრილს მოკავშირეთა მოწინავე ნაწილები უკვე მიადგნენ მდინარე ვეზერს და მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქი მინდენი, რომელიც ოსნაბრიუკსა და ჰანოვერს შუა მდებარეობს. შემდეგი ჯარები დიდი სისწრაფით მიიწევენ წინ და დღეში 32 კილომეტრს გადიან. დღემდე მთავარ დაბრკოლებას მოკავშირეთა ჯარების გზაში წარმოადგენენ ცუდი ხიდები და საწვავის ნაკლებობა მეტად წინწაწეული კოლონებისათვის. გერმანელთა წინააღმდეგობა განისაზღვრება ადგილობრივი ბრძოლებით გზაჯვარედინებისათვის ან მარტოოდენ სნაიპერთა მოქმედებით.

გერმანელებს აქ არა აქვთ არავითარი თავდაცვის ხაზი, არავითარი ფრონტი, არა ჰყავთ არავითარი არმია.

ჩვენ მთელი დღე გავატარეთ იმ გზაზე, რომლითაც ოსნაბრიუკიდან შემდეგი ჯარები აღმოსავლეთისაკენ მიდიან. ოსნაბრიუკს იქით, სწორედ იმ გზაზე, რომელიც, როგორც იუწყებოდნენ, ჯერ კიდევ არ არის გაწმენდილი მოწინააღმდეგისაგან, ჩვენ შევხვდით გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფს ოფიცრის მეთაურობით. ისინი მიდიოდნენ გზის გასწვრივ და მზად იყვნენ ტყვედ დანებებოდნენ ვინმეს. მაგრამ არავის არ სურდა მათი ტყვედ წაყვანა. ცოტა მოშორებით ჩვენ შევხვდით გერმანელ ჯარისკაცთა მეორე ჯგუფს, რომელთაც დიდი თეთრი ბაირაღი მოჰქონდათ. მათაც სურდათ, რომ ტყვედ წაეყვანათ ისინი. მათ წინ და უკან მიდიოდნენ ყოფილი ფრანგი სამხედრო ტყვეები, მონობაში წაყვანილი რუსი ადამიანები, ჰოლანდიელი ქალიშვილები, პოლონელი ჭაბუკები. ვისინგენში ჩვენ მარცხნივ გადავუხვიეთ იმ გზაზე, რომელიც ტყიან ადგილში გადის. თითქმის ყოველ თხუთმეტ წუთში, ან უფრო ხშირად ჩვენ ვხვდებოდით გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც დასავლეთისაკენ მიდიოდნენ სრულიად დაუცველნი. ერთი პატარა სოფლის განაპირას, აღმოვაჩინეთ მოკავშირე ქვეყნების მოქალაქეთა დიდი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ რუსი სამხედრო ტყვეები და კატორღულ სამუშაოზე გარეკილი ადამიანები, ფრანგი სამხედრო ტყვეები, პოლონელები, ჰოლანდიელები, სლოვენები, ჩეხები და ზოგი იტალიელი. მათს ახლოს იდგა გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი. განთავისუფლებული ადამიანები ძალიან მხნედ არიან. ისინი დიდი აღტაცებით მიესალმებიან მოკავშირეთა ჯარისკაცებს. გერმანელები ძალიან დაფიქრებული, დანაღვლიანებული არიან და მდუმარედ შესცქერიან მოკავშირეთა ჯარებს. მინდენის მახლობლად ჩვენ შევხვდით რამდენიმე ძლიერ გერმანელ სამხედრო ტყვეს, რომლებიც სატვირთო მანქანებს ტვირთავდნენ ზურგში გასაგზავნად. ზოგიერთი გერმანელი, იმ სოფლებში, რომლებიც ჩვენ გავიარეთ, ცდილობდა მისალმებოდა მათ. ტყვეები არ უპასუხებდნენ. ზოგიერთი ჰკითხავდა მათ იმისათვის, რომ კაპიტულაცია მოახდინეს. ტყვეები გინებით უპასუხებდნენ.

ადგილებს არ აჩნია ბრძოლების არავითარი კვალი. ქალაქები და სოფლები სრულიად ხელუხლებელია. ცხოვრება ქალაქებში გრძელდება. ხალხი მიდი-მოდის ქუჩებში, მუშაობს ყანებში. დიდი რიგებია სასურსათო მაღაზიების წინ. რაც უფრო ღრმად შევდივართ გერმანიაში, მით უფრო ნაკლებია ბრძოლების კვალი. ჩვენ გავიარეთ ფაბრიკის ახლოს — იგი მუშაობდა. პატარა ქალაქი, რომელიც მის მახლობლად მდებარეობს, სრულიად ხელუხლებელია. რკინიგზის სადგური სრულ წესრიგშია. მცხოვრებლები მოკავშირეთა სატრანსპორტო კოლონებს დიდი გაკვირვებით შესცქერიან, მაგრამ მათ ძალიან კარგად იციან, რაც მოხდა. ყოველ სახლზე გამოკიდებულია თეთრი ბაირაღი. დამარცხებულნი არც თუ ძალიან ამაყნი არიან. ისინი იღიმებიან და სალამს იძლევიან, ზოგჯერ ცდილობენ საუბარი გაგვიწიონ. მთელი საათობით დგანან ქუჩებში და უცქერიან, მოკავშირეთა ჯარები თუ როგორ იძვრიან აღმოსავლეთისაკენ.

ჩვენ ვუახლოვდებით მინდენს, რომელიც რამდენიმე საათის წინათ გაწმენდილ იქნა. მშვიდობიანი ლანდშაფტი, არავითარი ნიშანი ბრძოლებისა, არავითარი ხმაური ბრძოლისა. უეცრად გამოჩნდა გერმანელთა ორი ავიაგამანადგურებელი. ისინი პიკირებით დაეშვნენ სატრანსპორტო კოლონაზე, მაგრამ საზენიტო არტილერიის ინტენსიურ ცეცხლს წააწყდნენ და ღრუბლებში მიიმალნენ. ეს იყო და ეს. მთელი დღის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ მხოლოდ ეს ორი ავიაგამანადგურებელი — გერმანელთა წინააღმდეგობის ერთადერთი ნიშანი. უკან დაბრუნებისას ჩვენ შევხვდით მოკავშირეთა ახალ ჯარებს, რომლებიც წინ მიიწევდნენ. მოკავშირეთა არმიები ისეთი სისწრაფით მიიწევენ წინ, როგორსაც ნებასაც გზები იძლევიან.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 10 აპრილი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებმაც მდინარე ემსი გადალახეს, მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ ლატენს იქით. ბრემენის სამხრეთით, სადაც მოკავშირეებმა ბასუმი და რიდი დაიკავეს, მტრის წინააღმდეგობა ძლიერდება.

ჰილდესჰაიმი გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან. მოკავშირეთა ჯარებს, რომლებმაც მდინარე ლაინე გადალახეს, უჭირავთ 17,5 კილომეტრი სიგრძის ფრონტი გეტინგენიდან სამხრეთისაკენ. ზედჰაიმის სამხრეთით მოკავშირეთა ჯავშანსატანკო ნაწილებმა 19 კილომეტრითა და ცოტა მეტი მანძილით წაიწიეს წინ და რიტს მიადგნენ.

შტაბის ცნობაში ჩამოთვლილია იმ 24 ქალაქის სახელები, რომლებიც მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს 9 აპრილის განმავლობაში. საჰაერო ოპერაციების დროს 9 აპრილს მიწაზე მოსპობილია გერმანელთა 168 თვითმფრინავი; მტრის ბევრი თვითმფრინავი დაზიანებულია.

ლონდონი, 9 აპრილი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბთან იმყოფება, გადმოგვცემს, რომ ამერიკელთა მე-9 არმიის ნაწილები, რომლებმაც 40 კილომეტრით წაიწიეს წინ, 6,5 კილომეტრზე იმყოფებიან ჰანოვერიდან. ქალაქი გარშემორტყმულია სამი მხრივ. მე-9 არმიის სხვა ნაწილები 32 კილომეტრზე იმყოფებიან ბრაუნშვაიგიდან.

ამერიკის ჯარებმა აღმოაჩინეს ჰიტლერელების მიერ მოპარული კულტურული ფასეულობანი

ლონდონი, 10 აპრილი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ნ. მეიხი, რომელიც ამერიკის მე-3 არმიასთან იმყოფება, იუწყება, რომ მე-5 ქვეითი დივიზიის ნაწილებმა ერთ სამალავში 16 კილომეტრზე ჰისენის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმოაჩინეს ძალზე ძვირფასი სურათი და ათობით ხელნაწერი. ყოველივე ეს ნაძარცვი იყო გერმანელების მიერ ევროპის ბევრ დედაქალაქში და შემდეგ მიტოვებული სრულიად დაუცველად.

ნაცისტების მიერ ბერლინიდან ოქროს ფონდის გატანის ახალი დაწვრილებითი ცნობები

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ჩიკაგო სანის" კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის რაიხსბანკის წარმომადგენელმა ფიკმა, რომელიც, როგორც ჩანს, ცდილობდა ამერიკელთა გული მოეგო, განაცხადა: ნაცისტებმა ბერლინიდან ოქროს მარაგი გაიტანეს, რადგან ისინი ამჯობინებდნენ, რომ იგი ამერიკელებს ჩავარდნოდათ ხელში და არა რუსებს. როდესაც ნაცისტური მთავრობის წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ მარილის მაღაროში დამალული ოქროსა და ფულის გატანა ამერიკის მე-3 არმიის ჯარების მისვლამდე, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამერიკელებს შეეძლოთ ოქროს მარაგის ხელში ჩაგდება გამოიყენონ რაიხსმარკის სტაბილიზებისათვის. ფიკის სიტყვით, თუ ამერიკელები დაიცავენ საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ დაწესებულ ახლანდელ სავალუტო კურსს 10 ცენტის რაოდენობით ერთ რაიხსმარკაში, აგრეთვე დაიცავენ ბაზრის ყველა პროდუქტის მკაცრ ნორმირებას, ამით ისინი არ დაუშვებენ კატასტროფულ ინფლაციას. მისი სიტყვით, ამ გზით გერმანიის მრეწველობას შეეძლება გამოვიდეს ომიდან და ჰქონდეს საკმაოდ ჯანსაღი ფინანსური ბაზა, რაც საშუალებას შექმნის გადარჩენილ იქნას გერმანიის სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა აქციები. ფიკმა განაცხადა, რომ ოქროს, ფულისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გაგზავნა ბერლინიდან მარილის მაღაროში, რომელიც შუა გზაზე მდებარეობს ოდერზე მდგომ წითელი არმიის ჯარებსა და რაინზე მდგომ ინგლის-ამერიკელთა ჯარებს შორის, 9 თებერვალს დაიწყო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების XVIII სამეცნიერო სესია

11 და 12 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შესდგება მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების XVIII სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნება საქართველოს ფაუნის შესწავლის საკითხებს.

სესიის პირველ დღეს მოსმენილ იქნება მოხსენებები: აკადემიკოსი ფ. ზაიცევი — „საქართველოს ფაუნის შესწავლა წარსულში და მისი მორიგი ამოცანები"; დოცენტი რ. სავენკო — „საქართველოს თევზების ფაუნა და მათი სამეურნეო მნიშვნელობა"; პროფესორი დ. კობახიძე — „მასალები შაქრის ჭარხლის ნათესების ენტომოფაუნის შესწავლისათვის ქართლში"; დოცენტი ი. ჯანაშვილი — „მასალები საქართველოში წყლის გველებისა და ტყვეობის პირობებში მისი ბიოლოგიის შესახებ".

12 აპრილის სხდომაზე სესია მოისმენს შემდეგ მოხსენებებს: დოცენტი დ. მელაძე — „ენოტისმაგვარი ძაღლის აკლიმატიზაციისა და ბიოლოგიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში ერთის მაგალითზე"; მ. შიდლოვსკი — „ოლიგოცენური და ენდემური კავკასიური სახეობანი საქართველოს როდენტოფაუნაში"; პროფესორი ლ. აგლაძე — „შინაური ცხოველთა ზოგიერთი წარმომადგენელი მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიურ გათხრებში".

სესიის მუშაობა იწყება დილის 11 საათიდან.

გარდამავალი დროშა რიონჰესის თავდაცვის შტაბს

რიონჰესი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ამ დღეებში რიონჰესის თავდაცვის ხელმძღვანელებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ელექტროსადგურების თავდაცვის მუშაკებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში თავიანთი გამარჯვება. 1944 წელს ნაგებობათა საუკეთესოდ მოვლისა და დაცვის, აგრეთვე სადგურის კოლექტივის საბრძოლო მომზადების დარგში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატის საჰაერო-სამხედრო დაცვის სექტორმა რიონჰესის თავდაცვის შტაბს პირველობა მიაკუთვნა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ელექტროსადგურთა თავდაცვის შტაბებს შორის და გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

დროშის მიღებასთან დაკავშირებით გაიმართა რიონჰესელთა მიტინგი. სიტყვები წარმოთქვეს ამხ. გ. დეკანოზიშვილმა, გ. კვანტალიანმა, ლ. გაჩეჩილაძემ, მ. ჩაჩიბაიამ და სხვ.

რიონჰესელებმა იკისრეს თავდაცვითი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება და სადგურის ნაგებობათა დაცვის საქმის სანიმუშოდ მოწყობა.

გ. მეფისაშვილი

აკაკი წერეთლის ხსოვნის საღამო

13 აპრილს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული სამკითხველო აწყობს საღამოს აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 30 წლისთავის აღსანიშნავად.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები: შ. დადიანი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ი. ზურაბიშვილი, ს. წვერავა და სხვ.

ალიო მაშაშვილის „ლექსები"

საბლიტგამმა გამოსცა პოეტ **ალიო მაშაშვილის** წიგნი „ლექსები".

წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ სამამულო ომის დღეებში დაწერილი 38 ლექსის კრებულს.

კრებულის რედაქტორია ირ. აბაშიძე, მხატვარი — დ. ქუთათელაძე.

სამხატვრო აკადემიაში

თბილისის სამხატვრო აკადემიაში (გრიბოედოვის ქ. № 22) ხუთშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების ისტორიის კათედრის ღია სხდომაზე შესდგება პროფესორ ქ. კაპანელის მოხსენება თემაზე: „ხელოვნების სპეციფიკა".

დასწრება თავისუფალია.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს X პლენუმი

13 აპრილს, საღამოს 7 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) მოწვეულია საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს X პლენუმი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ლექცია

12 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის ქართულ ენაზე შესდგება ამხ. **სიმონგულოვის** ლექცია თემაზე: **„გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმი"**.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 11/IV—„ბოჰემა", 12/IV—„ტოსკა". **რუსთაველის სახელობის** — 11/IV—„კაკაძე", 12/IV—„ხევის ბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის**—11/IV—„ქამთაბერის ასული", 12/IV—„პირველი ცოლის მორჩილება". **გრიბოედოვის სახელობის** — 11/IV—„საზიფათო ძაღლი", 12/IV—„უკანასკნელი მსხვერპლი". **ფილარმონიის დიდი დარბაზი**—11, 12/IV — „მსახიობის სიყვარული" (მუსკომედიის თეატრის წარმოდგენები). **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—11/IV—„ფარავნელი ჭაბუკი", 12/IV—„რომეო და ჯულიეტა". **სომხური**—11/IV — „აღმოსავლეთის დანტისტი", 12/IV—„სომეხი ქალი". **აბუნდოვის სახელობის**—11/IV—„5-მანეთიანი საცოლე", 12/IV—„ლეილი და მაჯნუნი".

კინოებში

11 აპრილს: რუსთაველის სახელობის — „გზა ვარსკვლავისაკენ". **ოქტომბერი**—„წმინდა იორგენის დღესასწაული". **დამკვრელი**—„ყირიმის კონფერენცია". **კომკავშირელი**—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". **სპარტაკი** — „ცირკი". **ლუქსემბურგის სახელობის** — „ცამეტნი". **26 კომისრის სახელობის**—„შემოტევა".

მოქალაქე **ვალერიან ელიზბარის-ძე კიტიამ**, მცხოვრებმა კრილოვის ქ. № 1, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **შუშანა ალექსანდრეს-ასულ კიტიასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება ქ. თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ განსახკომის თანამშრომლები იუწყებიან **პეტრე გიორგის-ძე მარგანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IV, 6 ს. საავადმყოფოდან, კამოს, 47.

შვილები ვლადიმერ, ნადია, მატრონა, ოლია, ნინო იუწყებიან **ნესტორ ნიკოლოზის-ძე ლაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/IV სოფ. ნიგოზეთში (ქიათურა).

მათო ფურცელაძე შვილით ნინოთი, დით ლოლითი იუწყებიან **ოველ ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IV, 6 ს. ნინოშვილის, 45.

მეუღლე მართა, შვილები პორფილე ცოლ-შვილით, ოლია ქმარ-შვილით და ლილი მგალობლიშვილები იუწყებიან **ბესარიონ სოსის-ძე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას.

სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები იუწყებიან დავით სანაძის მამის **ბესარიონ სანაძის** გარდაცვალებას.

თბილსათბობის თანამშრომლები იუწყებიან ბორის სალაყაიას შვილის პატარა **რომიკოს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/IV, 5 ს. მარჯანიშვილის, 10.

მარო, ეთერი და ზაქრო ჯამასპიშვილები იუწყებიან ფარნაოზ ჯამასპიშვილის მეუღლის **თამარ ჯამასპიშვილის** გარდაცვალებას.

კონიაკ-არყის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ქარხნის დირექტორის ს. ხარაბაძის დედის **დესპინე ხარაბაძის** გარდაცვალებას.

ცოლი მარგო, შვილები ალუნიკა და კოტე, ძმა ისაკი, რძალი ნინო შვილებით იუწყებიან **გურგენ გალუსტის-ძე მამასახლისოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/IV, 7 ს. გამოსვენება 12/IV, 5 ს, 30 წ. არსენალის შეს., 18.

მეუღლე ვერა, შვილი ნათელა, ცოლისდები ანა, ლიზა ისაშვილები იუწყებიან **სერგო იაკობის-ძე გურჩიკინის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IV, 6 ს. პლეხანოვის, 93.

დედა სოფიო, და მილიცა, მამიდა ოლღა თოფურიძე, ბიძა ვარლამ, ბიცოლა ელენე და გოტია, ბიძაშვილები ზურაბ, თინა იუწყებიან **თენგიზ სიმონის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას.

ტროფიმე და ელენე ხუნდაძეები, ანეთა, სანდრო, ელენე გუნცაძეები იუწყებიან **ივერიკო გრიგოლის-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12/IV, 6 ს. ნინოშვილის, 45.

ძმა სამუელ მეუღლით ელენეთი, ძმისწულები თინა, არჩილ მეუღლით თინათი იუწყებიან **კოტე მალაქიას-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/IV, 8 ს. გამოსვენება 12/IV, 5½ ს. არაგვის, 14.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00091